ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №92
2019 წლის 11 აპრილი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-61 მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მეორე პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ (www.macne.gov.ge, ს.კ: 190020020.35.119.016348, 07/02/2018წ.) ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №44 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვალერი ბახტაძე**

დანართი

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	მერი	2880
2	მერის პირველი მოადგილე	1835
3	მერის მეორე მოადგილე	1740
4	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი)	1300
5	მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	1000
6	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთავარი სპეციალისტი)	700
7	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (უფროსი სპეციალისტი)	700
8	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (სპეციალისტი)	650
9	მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (სპეციალისტი)	650

10	მეოთხე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (სპეციალისტი)	650